

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

201.... წლის

ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმში ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე არსებული წრიულიდან

გიორგი ანწუხელიძის ქუჩამდე არსებული ქუჩისთვის

რეჯებ ნიჟარაძის სახელის მინიჭება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე არსებული წრიულიდან გიორგი ანწუხელიძის ქუჩამდე არსებულ ქუჩას (თანახმად თანდართული სიტუაციური გეგმისა) ეწოდოს ცნობილი საზოგადო მოღვაწის რეჯებ ნიჟარაძის სახელი.
2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინამდებარე განკარგულების შესაბამისად განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე არსებული წრიულიდან გიორგი ანწუხელიძის ქუჩამდე არსებული ქუჩისთვის რეჯებ ნიჟარაძის სახელის მინიჭება“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

რეჯებ ნიჟარაძე მაღლაკელი თავადის, ბასილი ნიჟარაძის მე-6 თაობაა. პირველდაწყებითი განათლება რეჯებმა სოფელ ხუცუბანში მამის მიერ დაარსებულ სკოლაში მიიღო და სწავლა განაგრძო თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში, აქედან სტავროპოლის გიმნაზიაში გადავიდა, 1901 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. აჭარის მკვიდრთაგან იგი პირველი იურისტია უმაღლესიგანათლებით.

ერთხანს მუშაობდა თბილისში სასამართლოს გამომძიებლად, მდივნის თანაშემწედ. შემდეგ გაგზავნეს ბაქოში საოლქო სასამართლოში, აქტიურად მონაწილეობდა აზერბაიჯანის ქართული სათვისტომოს საქმიანობაში. მეურვეობდა ბაქოს ქართულ სკოლას, სამკითხველოს, თანამშრომლობდა ქართული გაზეთის „მარცვალის“ რედაქციასთან, იყო ქშწ.-კგს-ის ბაქოს განყოფილების ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი სამშენებლო კომისიის წევრი.

1911 წლის ნოემბრიდან რეჯებს დაუსწრებლად ირჩვევენ ბათუმის სათათბიროს გამგეობის წევრად და ყველაზე საპასუხისმგებლო დავალებებს აძლევენ: სახალხო განათლება, სათათბიროს ფინანსები და სალარო, ვაჭრობა, კანცელარიაზე, ნოტარიუსზე ზედამხედველობა, საქალაქო უწყებების მომარაგება, ფასებზე კონტროლი, ლომბარდის მართვა და ა. შ. მისი უშუალო თაოსნობით გაიხსნა რამდენიმე სკოლა, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, დახმარება მიიღო თეატრის დასმა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ხელმძღვანელობდა ბათუმის საექიმო-სანიტარულ საბჭოს, ლტოლვილთა განსახლებას.

ომის დამთავრების შემდეგ საქმიანობა განაგრძო სათათბიროში. 1916 წლის 2 მარტს მონაწილეობდა აჭარის დეპუტაციაში, რომელმაც კავკასიის მეფისნაცვალს გააცნო მხარის მოსახლეობის მდგომარეობა და თხოვა მათი მოგვარება. იმავე წელს რეჯები ბათუმის ქალაქის თავის მოადგილედ დანიშნეს.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რეჟებ ნიჟარაძე შეიყვანეს ბათუმის მუშათა

და ჯარისკაცთა საბჭოს შემადგენლობაში, აგროვებდა სახსრებს პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნის სასარგებლოდ, მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან, რომელმაც რეჟები საარჩევნო სიაში შეიყვანა. იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის“ და აჭარის პირველი მეჯლისის წევრი. კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ოკუპანტთაგან აჭარის გათავისუფლების და საქართველოს შემადგენლობაში დარჩენისთვის.

საბჭოთა ჯარის მიერ აჭარის დაკავების შემდეგ რეჟებ ნიჟარაძე შეიყვანეს რევკომის შემადგენლობაში, შემდეგ მას იუსტიციის სახალხო კომისრად ნიშნავენ, 1925 წლიდან კი აჭარის სახკომსაბჭოს და მიწსახკომის იურისტკონსულტანტია. კითხულობდა ლექციებს თბილისის სასწავლებლებში. რეჟებ ნიჟარაძე ვერ ასცდა ოცდაათიანი წლების ტრაგედიას. იგი შეიარაღებული აჯანყების მოწყობის და საბჭოთა წყობილების დამხობის ბრალდებით დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რაც 1937 წლის 7 დეკემბერს ბათუმში, სალიბაურში მოიყვანეს სისრულეში.

1956 წელს, სიკვდილის შემდეგ რეჟებმა და მისმა ოჯახმა მიიღო სრული რეაბილიტაცია.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე არსებული წრიულიდან გიორგი ანწუხელიძის ქუჩამდე არსებული ქუჩისთვის რეჟებ ნიჟარაძის სახელის მინიჭებას.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

თვითმმართველი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:


საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი პატარიძე